განკარგულება:**g-135.135220904**
თარიღი:**31/03/2022**

მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭების საკითხის მოწონების შესახებ

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 23/06/2021წ. N-627. წარმოდგენილი იქნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს ინიციატივა, გეოგრაფიულო ობიექტის: ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის აფხაზეთის ომის მონაწილე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, საქართველოს ეროვნული გმირის ავთანდილ იოსელიანის სახელის მინიჭების შესახებ საკითხი. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვეტილების მიღებისას იხემძღვანელა საქართველოს კანონმდებლობით და წარმოდგენილი ფაქტებით ავთანდილ იოსელიანის შესახებ, რომელიც გმირულად შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. იგი 1992 წელს 40 წლის ასაკში დაიღუპა აფხაზეთის ომში. ამ განსაკუთრებული დამსახურებების,ერის და საქართველოს სახელმწიფოს წინაშე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მას მიენიჭა ეროვნული გმირის სტატუსი. მესტიის მუნიციპალიტეტის მერი-ს 23/06/2021წ. N-627 მომართვის, ომის ვეტერანთა საინიციატივო ჯგუფის ერთობლივი განცხადების, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისის დასკნის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24 მუხლის „1“-ლი პუნქტის „ა.ე“-ქვეპუნქტის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N-239 დადგენილების, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას 2021 წლის 21 ოქტომბრის **№**29 სხდომის ოქმის შესაბამისად:

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.მოწონებულ იქნას, მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალის (გეოგრაფიული

კოორდინატები:X-324021;Y-4772878) საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, საქართველოს ეროვნული გმირის ,,ავთანდილ იოსელიანის" სახელის მინიჭების შესახებ საკითხი. თანდართული რუკის თანახმად.

2.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზუგდიდი. გრ. ქობალიას ქ.N 12)

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი